EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

განჩინება

საჩივრები no. 70820/10 და no. 60870/11
ნუგზარ თაბაგარი საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია), პალატის 2013 წლის 18 ივნისის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

ჯოზეპ კასადევალი, თავმჯდომარე,
ალვინა გულუმიანი,
კორნელიუ ბირსანი,
ლუის ლოპეზ გუერა
ნონა წოწორია
იოჰანეს სილვისი
ვალერიუ გრიტკო, მოსამართლეები,
და *სანტიაგო კესადა*, სექციის განმწესრიგებელი,

მხედველობაში მიიღო რა 2010 წლის 3 დეკემბერსა და 2011 წლის 17 აგვისტოს შემოტანილი წინამდებარე საჩივრები,

მხედველობაში მიიღო რა მოპასუხე მთავრობის მიერ, 2013 წლის 19 აპრილს, წარმოდგენილი დეკლარაცია, რომლითაც იგი სასამართლოს სთხოვდა წინამდებარე საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვასა და მომჩივნის პასუხი აღნიშნულ დეკლარაციაზე,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ბ-ნი *ნუგზარ თაბაგარი,* საქართველოს მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1981 წელს და ამჟამად იმყოფება ციხეში. სასამართლოში მას წარმოადგენდა ბ-ნი *ბესარიონ ბოჭორიშვილი*, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას თბილისში ახორციელებს.

2. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი *ლევან მესხორაძე.*

3. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს.

ა. საქმის გარემოებები

1. მომჩივნის გაქცევა ციხიდან და შემდგომი სისხლის სამართალწარმოება

4. მომჩივანი, რომელიც სხვადასხვა დანაშაულისთვის იქნა ბრალდებული 2005 წლის 13 დეკემბერს, სასჯელს იხდიდა ხონის №9 ციხეში. 2008 წლის 12 აგვისტოს, ის, რამდენიმე სხვა პატიმართან ერთად, ციხიდან გაიქცა. მომჩივანი გაქცევიდან მალევე დააკავეს და მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სხვადასხვა ბრალდებით, რომლებიც უკავშირდებოდა მის გაქცევას, მათ შორის ციხის ოფიცრებისადმი დაუმორჩილებლობასა და მათზე თავდასხმას, ციხეში აკრძალული ნივთების შენახვასა და ძარცვის მცდელობას.

5. 2009 წლის 10 მაისს სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო და 28 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მთლიანი სასჯელი, რომელიც მოიცავდა მომჩივნის წინა სასჯელის მოუხდელ ნაწილს, განისაზღვრა 29 წლით, 7 თვითა და 24 დღით. 2010 წლის 16 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა. 2010 წლის 30 ივნისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი სამართლებრივ საკითხებზე.

საქმის მასალების მიხედვით, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს მომჩივნის რეგულარული დასწრება სასამართლო პროცესებზე.

6. 2013 წლის იანვარში მომჩივნის სასჯელის ვადა შემცირდა 10 წლით, 2012 წლის 28 დეკემბრის ამინისტიის აქტის საფუძველზე.

2. მომჩივნის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობა ციხეში და შემდგომი სისხლის სამართალწარმოება

7. მომჩივანმა განაცხადა, რომ ციხეში მის მიმართ ხშირად ჰქონდა ადგილი სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას. ამასთან დაკავშირებით, 4 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

8. პირველი სისხლის სამართლის საქმე (№088098009) ეხებოდა ქუთაისის №2 ციხეში მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ეპიზოდებს 2008 წლის აგვისტოსა და 2009 წლის იანვარს შორის. 2009 წლის 27 ნოემბერს მომჩივნის მიერ წამოყენებული ახალი პრეტენზია, რომელიც უკავშირდებოდა, ამჯერად, ქსნის №7 ციხის თანამშრომლების მიერ მის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას, ასევე დაემატა №08898009 საქმის საგამოძიებო მასალებს. 2010 წლის 28 მაისს პროკურორმა შეწყვიტა ზემოხსენებული საქმე დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო. მომჩივანმა, რაიმე მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, განაცხადა, რომ მან გაასაჩივრა პროკურატურის აღნიშნული გადაწყვეტილება, თუმცა ამის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

9. მეორე სისხლის სამართლის საქმე (№07390285) აღიძრა 2009 წლის 12 ივნისს და ეხებოდა მომჩივნის მიმართ 2009 წლის 10 მაისს, ქსნის №7 ციხეში განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ განცალკევებულ ინციდენტს. 2010 წლის 30 ივნისს საქმე შეწყდა. მომჩივანს, რომელსაც უარი ეთქვა მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე, არ მიეცა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა პროკურატურის დადგენილება.

10. 2009 წლის 15 დეკემბერს ციხის საავადმყოფოში განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული მომჩივნის რამდენიმე პრეტენზიის საპასუხოდ, მომჩივნის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე (№073090595) ციხის თანამშრომლისადმი დაუმორჩილებლობისა და მის წინააღმდეგ აგრესიული ქმედების გამო - დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე (§5) მუხლით. 2010 წლის 4 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო მომჩივანი, დაასკვნა რა, რომ მისი ბრალდებები ციხის თანამშრომელთა მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, გამოგონილი იქნა ერთადერთი - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების - მიზნით. მომჩივანს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია და 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით ძალაში დატოვა განაჩენი. 2011 წლის 17 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის საკასაციო სარჩელი.

11. 2009 წლის 13 მაისს კიდევ ერთი საქმე (№073090245) აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე (§1) მუხლის საფუძველზე (სხეულის მსუბუქი დაზიანება), რაც უკავშირდებოდა მომჩივნის სავარაუდო თვითდაზიანების

რამდენიმე შემთხვევას ქსნის №7 ციხეში. საქმის მასალების მიხედვით, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

3. მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ციხეში მისთვის გაწეული სამედიცინო მკურნალობა

12. მომჩივანს, რომელსაც აწუხებს ფსიქიკური აშლილობა, ხშირად ჰქონდა ციხეში განზრახ თვითდასახიჩრების ეპიზოდები. მას რამდენჯერმე ურჩიეს, ჩაეტარებინა სრული ფსიქიატრიული გამოკვლევა და ადეკვატური ამბულატორიული მკურნალობა. თუმცა ციხის ადმინისტრაციამ ვერ შეასრულა სამედიცინო რეკომენდაცია.

13. 2012 წლის ოქტომბერსა და 2013 წლის იანვარში მომჩივანს ჩაუტარდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის შედეგად მას დაუსვეს ემოციურად გაუწონასწორებელი პიროვნული აშლილობის დიაგნოზი - მდგომარეობა რომელიც არ საჭიროებს სავალდებულო ფსიქიატრიულ მკურნალობას. ამჟამად მომჩივანი იმყოფება მუდმივი სამედიცინო დაკვირვების ქვეშ და რეგულარულად გადის კონსულტაციას ფსიქიატრთან.

ბ. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

14. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 310-ე (ე) მუხლი, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 1-ლ იანვარს შემდეგნაირად იკითხება:

„განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ: ... (ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.“

15. სსსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წელი.

პრეტენზიები

16. თავდაპირველ საჩივარში, რომელიც შეტანილ იქნა სასამართლოში 2010 წლის 3 დეკემბერს, მომჩივანი, კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, აცხადებდა პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ციხეში მის მიმართ მუდმივად ხორციელდებოდა არასათანადო მოპყრობა და რომ ეფექტიანი გამოძიება ამასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა. შემდგომში, მომჩივანმა პრეტენზია განაცხადა იმის შესახებ, რომ მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და ციხის ადმინისტრაცია აყოვნებდა მისთვის ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის ჩატარებას. ციხიდან გაქცევის ფაქტზე მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებით (§§ 4-5), მომჩივანმა წამოაყენა პრეტენზია კონვენციის მე-5 (§1) მუხლზე დაყრდნობით, რომელიც ეხებოდა მის უკანონო წინასწარ პატიმრობას და ასევე პრეტენზია სამართალწარმოების პროცესის საბოლოო შედეგთან მიმართებით, კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, მომჩივანმა, დაეყრდნო რა კონვენციის მე-6 (§3 „c“) მუხლს, დაადანაშაულა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოები იმაში, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს სასამართლო პროცესებზე მისი დასწრება.

17. 2011 წლის 17 აგვისტოს შეტანილ განცალკევებულ საჩივარში, მომჩივანმა, კონვენციის მე-6 (§§ 1 და 3) მუხლის საფუძველზე, პრეტენზია განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე (№073090595) მის მიერ ციხის თანამშრომლის მიმართ განხორციელებული აგრესიული ქმედების გამო (§10), უსამართლო იყო; კერძოდ, შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებები იყო აშკარად დაუსაბუთებელი; მომჩივნის მიმართ გამოტანილი განაჩენი ეფუძნებოდა მხოლოდ იმ ციხის თანამშრომელთა ჩვენებებს, რომლებიც მის მიმართ ახორციელებდნენ არასათანადო მოპყრობას. სასამართლოებმა უარი განაცხადეს, გამოეძახებინათ მომჩივნის მოწმეები; ამასთანავე, მომჩივნის დაცვის უფლებები დაირღვა პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე.

სამართალი

ა. საქმეთა გაერთიანება

18. ფაქტობრივი და იურიდიული საფუძვლების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ორი საჩივრის გაერთიანების შესახებ, რეგლამენტის 42-ე (§1) მუხლის თანახმად.

ბ. კონვენციის მე-3, მე-6 (§§ 1 და 3 (c) და (d) და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებული, შეტყობინებული პრეტენზიები

19. 2011 წლის 17 ოქტომბერს სასამართლომ აცნობა მთავრობას მომჩივნის მიერ კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები, რომლებიც ეხებოდა მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს, ამ კუთხით ეფექტიანი გამოძიების არჩატარებასა და ციხეში ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის ვერუზრუნველყოფას; კონვენციის მე-6 (§3 „c“) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია, რომელიც ეხება მის ციხიდან გაქცევის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის პროცესზე მის არდასწრებას, ასევე ეცნობა მთავრობას მისი პოზიციის წარმოდგენის მიზნით (§5).

2012 წლის 28 იანვარს სასამართლომ დამატებით აცნობა მთავრობას კონვენციის 6§§ 1 და 3 (c) და (d) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები, რომლებიც ეხებოდა მომჩივნის მიერ ციხის თანამშრომლის მიმართ გამოხატული აგრესიული ქმედების გამო აღძრული სისხლის სამართლწარმოების უკანონობას (საგამოძიებო მასალები №07390595) (§10).

20. წინამდებარე საქმეზე მორიგების ვერმიღწევის შემდეგ, 2013 წლის 19 აპრილის წერილით, მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ მან შესთავაზა მომჩივანს ცალმხრივი დეკლარაცია საჩივრებში წამოჭრილი ზოგიერთი საკითხის გადაჭრის მიზნით, ხოლო საჩივრების დანარჩენ ნაწილს ის დაუშვებლად მიიჩნევდა. შემდგომში, მთავრობამ სასამართლოს მიმართა თხოვნით საჩივრების განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის თაობაზე, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

21. დეკლარაციის შესაბამისი ნაწილები შემდეგნაირად იკითხება:

„მხედველობაში იღებს რა მომჩივნის ფსიქოლოგიურ პრობლემას და პატიმრობის განმავლობაში მისთვის ჩატარებული მკურნალობის პროცესში დაშვებულ გარკვეულ ხარვეზებს; ...

მხედველობაში იღებს რა პირველ სისხლის სამართლის საქმესთან (№088098009) დაკავშირებით წამოყენებული მომჩივნის პრეტენზიების დაუშვებლობას მისი მხრიდან ეროვნულ დონეზე არსებული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვის გამო; ...

ითვალისწინებს რა მეორე სისხლის სამართლის საქმეში (№073090285) გამოძიების დროს არსებულ გარკვეულ ნაკლოვანებებს;

ითვალისწინებს რა მესამე სისხლის სამართლის საქმეში (№073090595) გამოძიებისა და სასამართლო პროცესების დროს დაშვებულ ნაკლოვანებებს და მხედველობაში იღებს რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლით გათვალიწინებულ მომჩივნის უფლებას, მიმართოს შიდა სასამართლოს მესამე სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის მოთხოვნით;

მხედველობაში იღებს რა მეოთხე სისხლის სამართლის საქმეში არასაკმარის გამოძიებას (№073090245);

ითვალისწინებს რა მომჩივნისათვის მსხვერპლის სტატუსის არმინიჭებას მეორე და მეოთხე სისხლის სამართლის საქმეებში, რის გამოც მას წაერთვა შესაძლებლობა გამოეყენებინა ეროვნულ დონეზე არსებული მიმართვის ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-13 მუხლი;

ითვალისწინებს რა, ხონის №9 ციხიდან გაქცევის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესებზე მომჩივნის დასწრების ვერუზრუნველყოფას კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ;

მთავრობას სურს, ცალმხრივი დეკლარაციის მეშვეობით, დანანებით აღიაროს მომჩივნის საქმეებთან მიმართებით რელევანტური, კონვენციის მე-3, მე-6 (§§ 1 და 3 „c“ და „d“) და მე-13 მუხლების კუთხით ნაკლოვანებების არსებობა; და გამოთქვამს მზადყოფნას:

უზრუნველყოს ბ-ნი *თაბაგარის* ფსიქიკური პრობლემებისა და სხვა ჩივილების ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა სახელმწიფოს ხარჯით;

ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება მეორე და მეოთხე სისხლის სამართლის საქმეებზე;

მომჩივანს გადაუხადოს 9.000 (ცხრა ათასი) ევრო, მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით;

აღნიშნული თანხა კონვერტირებული უნდა იქნეს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული გაცვლითი კურსით და ანგარიშსწორება უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ, კონვენციის 37-ე (§1) მუხლის შესაბამისად მიღებული განჩინების მთავრობისთვის შეტყობინების თარიღიდან 3 თვის განმავლობაში. ზემოაღნიშნული 3 თვის ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მთავრობა იღებს ვალდებულებას, დამატებით გადაიხადოს ჩვეულებრივი პროცენტები, გადახდის ვადის ამოწურვიდან საბოლოო მოგვარებამდე, შესაბამის პერიოდში მოქმედი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

ზემოხსენებული პირობების შესრულება გულისხმობს მოცემული საჩივრების საბოლოო მოგვარებას იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს ეხება სასამართლოში მიმდინარე პროცედურას. აღნიშნული ზიანს არ აყენებს მომჩივნის მიერ მიმართვის სხვა საშუალებათა გამოყენებას, რომლებიც მისთვის შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი ეროვნულ დონეზე. ...“

22. 2013 წლის 13 მაისის წერილით მომჩივანმა მოითხოვა, რომ სასამართლოს არ მიეღო მთავრობის შემოთავაზება იმ საფუძვლით, რომ ცალმხრივ დეკლარაციაში შეთავაზებული კომპენსაცია არასაკმარისი იყო მიყენებულ ზიანთან მიმართებით. მომჩივნმა განაცხადა, რომ დეკლარაცია არ ფარავდა ყველა დარღვევას (როგორიცაა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია ციხიდან გაქცევის საქმის წარმოების სავარაუდო უკანონობის შესახებ) და არ ითვალისწინებდა მთავრობის ვალდებულებას, მომჩივნის სასჯელის ვადის შემცირების შესახებ.

23. სასამართლო შენიშნავს, რომ კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, მას შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუკი გარემოებები მიიყვანს მას ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის (a), (b) და (c) ქვეპუნქტებით დადგენილ ერთ-ერთ დასკვნამდე. 37-ე (§1 „c“) მუხლი საშუალებას აძლევს სასამართლოს, ამორიცხოს საჩივარი, თუ

„სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით, საჩივრის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული“.

24. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ კონვენციის 37-ე (§1 „c“) მუხლის თანახმად, გარკვეულ გარემოებებში, მას შეუძლია ამორიცხოს საჩივარი ან მისი ნაწილი მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, მაშინაც კი, როდესაც მომჩივანს სურს საქმის განხილვის გაგრძელება (იხ. *თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* (განჩინება.), №46055/06, 2012 წლის 16 ოქტომბერი და ბერიძე საქართველოს წინააღმდეგ (განჩინება), №16206/06, 2013 წლის 30 აპრილი). ამ თვალსაზრისით, სასამართლო გულდასმით შეისწავლის დეკლარაციას მისი პრეცედენტული სამართლით - განსაკუთრებით კი *Tashin Acar*-ის გადაწყვეტილებით - ჩამოყალიბებულ პრინციპებთან მიმართებით (*Tashin Acar v. Turkey*, (GC), №26307/95, §§75-77, ECHR 2003-VI); *WAZA Spolka z o.o. v. Poland* (dec), №11602/02, 26 June 2007, and *Sulwinska v. Poland* (dec), №28953/03, 18 September 2007).

25. მთავრობის დეკლარაციის განხილვისას, სასამართლო შენიშნავს, რომ დასაწყისში მთავრობამ აღიარა მომჩივნის სხვადასხვა უფლებების დარღვევა კონვენციის მე-3, მე-6 (§§ 1 და 3 (c) და (d) და მე-13 მუხლებთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, სასამართლო იმეორებს, რომ რომ უკვე არსებობს კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართალი საჯარო მოხელეთა მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან და ამ მხრივ არაეფექტიანი გამოძიების ჩატარებასთან (იხ. *მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, №18996/06, §§73-92, 2012 წლის 19 ოქტომბერი და დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №19634/07, §§41-52, 2012 წლის 18 დეკემბერი), ისევე როგორც ციხეში არაადეკვატურ სამედიცინო მკურნალობასთან მიმართებით (იხ. *გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, №47729/08, §§71-81, 2011 წლის 4 ოქტომბერი; *ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ,* №1871/08, §§43-50, 2012 წლის 18 დეკემბერი და *ჯაში საქართველოს წინააღმდეგ,* №10799/06 §§63-66, 2013 წლის 8 იანვარი). სასამართლოს ასევე გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკა სამართლიანი სასამართლოს გარანტიების სხვადასხვა ასპექტებთან მიმართებით, როდესაც ის განიხილავს მომჩივნის მიერ კონვენციის მე-6 (§§ 1 და 3 „c“ და „d“) და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს (იხ. *Polyakov v. Russia*, №77018/01, §§29-37, 29 January 2009, *Hanyevayki v. Croatia*, №17182/07, §§18-29, 16 April 2009, and *Huseyn and Others v. Azerbaijan*, № 35485/05, 45553/05, 35680/05 and 36085/05, §§170-216, 26 July 2011).

26. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დეკლარაციაში მითითებულ სხვადასხვა ზომებზე, რომლებიც ეხება მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული მეორე და მეოთხე სისხლის სამართლის საქმეების (№073090285 და №073090245) გამოძიებასა და მომჩივნისთვის შესაძლებლობის მიცემას, მოითხოვოს სისხლის სამართლის მესამე საქმის (№073090595) გადასინჯვა სსსკ-ის 310-ე მუხლის საფუძველზე (იხ. *თაქთაქიშვილის* საქმე). აღნიშნული ვალდებულებების პრაქტიკული შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მომჩივნის ბრალდებები სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით თავიდან

იქნება გამოძიებული და მას ექნება ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება და უფლება, მოიპოვოს ადეკვატური და შესაბამისი გამოსწორება.

27. აქედან გამომდინარე, მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში მოცემული აღიარებებისა და ვალდებულებების, ისევე როგორც კომპენსაციის თანხის, გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მეტად აღარ არის გამართლებული საჩივრების ამ ნაწილის განხილვა (37-ე (§1 „c“) მუხლი). უფრო მეტიც, ზემოაღნიშნულისა და განსაკუთრებით, მოცემულ საკითხებთან მიმართებით კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო კმაყოფილია იმით, რომ კონვენციითა და მისი ოქმებით დაცულ უფლებათა პატივისცემა არ მოითხოვს საჩივრების ამ ნაწილის განხილვის გაგრძელებას (37-ე (§1) მუხლი *in fine*).

28. სასამართლო მხედველობაში იღებს მთავრობის მიერ შეთავაზებულ იმ საშუალებებს, რომლებითაც უნდა მოხდეს შეთავაზებული თანხის გადახდა.

29. და ბოლოს, რაც შეეხება მთავრობის დეკლარაციის შესრულებას, სასამართლო განმარტავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება ზიანს არ მიაყენებს არცერთ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს, მთავრობის მხრიდან დეკლარაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხაში აღდგენის შესახებ, კონვენციის 37-ე (§2) მუხლის შესაბამისად (იხ. *E. G. v. Poland* (dec.), №50425/99, §29, ECHR 2008…. (extracts)).

30. შესაბამისად, პრეტენზიები, რომლებსაც ეხება მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია, უნდა ამოირიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

გ. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

31. მომჩივანმა წამოაყენა პრეტენზია კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, 2008 წლის აგვისტოსა და 2009 წლის იანვარს შორის ციხეში განმეორებითი არასათანადო მოპყრობის შესახებ. ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე (№088098009) პროკურორმა შეწყვიტა 2010 წლის 28 მაისს, მტკიცებულებათა არარსებობის გამო. მომჩივანი აცხადებდა, რომ გამოძიება იყო არაეფექტიანი და მან გაასაჩივრა პროკურორის ეს გადაწყვეტილება. თუმცა აღნიშნულის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილება არ მიღებულა. მთავრობამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ აღნიშნული პრეტენზია დაუშვებელი იყო მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვის გამო, ვინაიდან მომჩივანმა სასამართლოში არ გაასაჩივრა პროკურორის აღნიშნული დადგენილება (§§ 8 და 12).

32. სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივანმა ვერ წარმოადგინა ვერავითარი მტკიცებულება იმისა, რომ მან ნამდვილად გაასაჩივრა პროკურორის 2010 წლის 28 მაისის დადგენილება (იხ. *a contrario*, *დვალიშვილი*, ხსენებული ზემოთ, §22). სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია სისხლის სამართლის №088098009 საქმეზე არ უნდა დაკმაყოფილდეს

მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვის გამო, კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის შესაბამისად.

33. მომჩივნის მიერ კონვენციის მე-5 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია წინასწარი პატიმრობის უკანონობის შესახებ დაგვიანებულია, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თავისუფლების აღკვეთის ეს კონკრეტული შემთხვევა დასრულდა მომჩივნისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით პირველი ინსტანციის სასამართლოში, 2009 წლის 10 მაისს, მაშინ როდესაც მოცემული საჩივარი შემოტანილ იქნა მხოლოდ 2010 წლის 3 დეკემბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული პრეტენზია დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის შესაბამისად.

34. მომჩივნის მიერ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის დანარჩენ ნაწილს, მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე და ამ საკითხებთან დაკავშირებით მისი კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მან ვერ აღმოაჩინა კონვენციითა და მისი დამაატებითი ოქმებით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რაიმე ნიშნები. შესაბამისად, საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე (§§ 3 (a) და 4) მუხლის შესაბამისად.

დ. ხარჯები

35. სასამართლო აქვს იურიდიული ხარჯების ანაზღაურების მიზნით თანხის მიკუთვნების დისკრეცია, როდესაც ის ამორიცხავს საჩივარს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან (რეგლამენტის 43-ე (§4) მუხლი). მოცემულ საქმეში, წამოჭრილი საკითხების გარკვეულობის, ასევე მომჩივნის ადვოკატის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობის, გათვალისწინებით, სასამართლომ მომჩივანს მიაკუთვნებს 1.000 ევროს იურიდიული ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად,

იღებს გადაწყვეტილებას საჩივრების გაერთიანების შესახებ,

მხედველობაში იღებს მთავრობის მიერ, კონვენციის მე-3, მე-6 (§§ 1 და 3 „c“ და „d“) და მე-13 მუხლებთან მიმართებით წარმოდგენილ დეკლარაციასა და მასში მოცემულ ვალდებულებათა შესრულების პირობებს;

იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ, კონვენციის 37-ე (§1 „c“) მუხლის თანახმად, იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი ეხება ზემოხსენებულ პრეტენზიებს;

იღებს გადაწყვეტილებას მომჩივნისთვის 1.000 (ათასი) ევროს მიკუთვნების შესახებ, იურიდიული ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

დაუშვებლად ცნობს საჩივრის დანარჩენ ნაწილს.

სანტიაგო კესადა — სექციის განმწესრიგებელი

ჯოზეპ კასადევალი — თავმჯდომარე